საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№13 / 2011

# „გარედან ხორუმის ცეკვა ადვილია“

2010 წლის 28 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უხუცესი წევრი – ნოდარ თავართქილაძე ხელმძღვანელობს. იგი მეორე მოწვევის საკრებულოს წევრია. ვიდრე იგი მშობლიურ მუნიციპალიტეტში „პირველი კაცი“ გახდებოდა, დიდი გზა გაიარა და კარიერაში ბევრი საფეხური აითვალა. სპეციალობით ინჟინერ-ტექნოლოგს თავისი პროფესიით არასოდეს უმუშავია. წინათ ამაყობდა, რომ „შევარდნაძის ფაკულტეტი“ დაამთავრა, ახლა სასაცილოდ ეჩვენება. როგორც თავად უწოდებს, ინჟინერ-ტექნოლოგი იმ დროს „ფულის კეთების დარგი“იყო, თუმცა არასოდეს გამოუყენებია.

ნოდარ თავართქილაძე ინსტიტუტის დამთავრების დღიდან მუხლჩაუხრელად შრომობს. მთელი თავისი ძალა და შესაძლებლობები მშობლიურ მუნიციპალიტეტს მოახმარა და სხვაგან არასოდეს უმუშავია. იყო სტატისტიკოსი, მუშაობდა რაიკომში, ხულოს გამგეობაში ხელმძღვანელობდა ქონების მართვის განყოფილებას, იყო სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ხელმძღვანელი, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და აგრარულ საკითხთა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ კი ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა.

„მთიელ ხალხს გვაქვს ასეთი გამონათქვამი: „გარედან ხორუმის ცეკვა ადვილია“. საკმაოდ ბევრი სამსახური გამოვიცვალე და ყოველთვის, როცა შორიდან ვუყურებდი, ვამბობდი, იქ მუშაობას რა უნდა, დილას მიხვალ, საღამოს წახვალ და თვის ბოლოს ხელფასს აიღებ-მეთქი. როცა რეალურად ვიწყებდი მუშაობას, აზრი მალევე მეცვლებოდა. რა თანამდებობაზეც არ უნდა იყო კაცი, ყველა საპასუხისმგებლო და თავისებურად რთულია. სადაც გულით მუშაობ, ყველგან პრობლემაა, საქმეს გულისყურით მიდგომა და მუხლჩაუხრელი მუშაობა უნდა“ – ამბობს ნოდარ თავართქილაძე. მისთვის ყველაზე რთული სამსახური სუბსიდიების სააგენტოს ხელმძღვანელობა იყო, სადაც ხუთი წელი იმუშავა. ვიდრე ამ სააგენტოს ხელმძღვანელად დანიშნავდნენ, ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა გაჭირვებულ კაცს პენსია ან სოციალური დახმარება არ ჰქონოდა: „ეს ისეთი სამსახურია, სადაც ყველა კატეგორიის ადამიანს მოუწევს მოსვლა. ზოგი თავის გაჭირვებაზე მოდის



*ნოდარ თავართქილაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*

და დახმარება უნდა, ზოგს მშობელი ჰყავს ავად, ზოგს შვილი... კანონი რამდენად გვაძლევს საშუალებას, რომ დავეხმაროთ, ეს არავის აინტერესებს. ყველას სათითაოდ ვუხსნიდი პრობლემის არსს და სჯეროდათ. ჩემი იქ მუშაობის პერიოდში არც ერთი საჩივარი არ შემოსულა არც სუბსიდიების სააგენტოში და არც ზემდგომ ინსტანციებში, რაც იმას მოწმობს, რომ მოსახლეობა განაწყენებული არ მყოლია“.

მოსახლეობა რომ განაწყენებული არ ჰყავს, იქიდანაც ჩანს, რომ ბატონი ნოდარი მეორე მოწვევის საკრებულოს წევრია. ამბობს, რომ პირველობის ამბიცია არ ჰქონია და 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე კენჭი იმიტომ იყარა, რომ მანამდე დაწყებული საქმეები დაესრულებინა. იგი მიიჩნევს, რომ ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა: „სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიებიდან კარგი წევრები გვყავს არჩეული, განათლებული ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ მუნიციპალიტეტზე, მოსახლეობაზე და მაქსიმალურად ცდილობენ თავიანთი შესაძლებლობები ხალხის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. ხშირად გვაქვს დებატები ოპოზიციასთან, ვსაუბრობთ მტკივნეულ და საჭირბოროტო თემებზე... საბოლოოდ ისეთ გადაწყვეტილებამდე მივდივართ, რომელიც სარგებელს მოუტანს მოსახლეობას.“

მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოპოზიციის წარმომადგენლობას ნოდარ თავართქილაძე აუცილებლობად მიიჩნევს: „ოპოზიცია გვაფხიზლებს, მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს. ხშირ შემთხვევაში სასარგებლო ოპონირებას გვიწევენ. ვფიქრობ, სადაც ოპოზიცია არ არის, დიდი ალბათობაა, რომ საკრებულო სწორ გადაწყვეტილებამდე ვერ მივიდეს“.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ახლა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებით არის დაკავებული. გასაკეთებელი ბევრი აქვს... წინა მოწვევის საკრებულოს წევრობისას დაწყებული საქმეები უნდა დაასრულოს და მიმდინარე პრობლემებზეც იზრუნოს. „წინა მოწვევის საკრებულოში ბევრი საკითხი დამიგროვდა, რაც დროის ფაქტორის გამო ვერ დავასრულე. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭი ვიყარე და დღეს ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვარ. ჩემი სამუშაო დღე იწყება და მთავრდება მოსახლეობასთან შეხვედრებით. უმეტესწილად ადგილზე ვეცნობი მოსახლეობის პრობლემებს, ხშირად თვითონ მოდიან ჩვენთან... რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ვაკეთებთ, რაც ჩვენს ძალებს აღემატება, ვცდილობთ, ავუხსნათ და მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტი გვქონდეს. ახლახან სოფელ ქედლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით რკინა-ბეტონის გზა გაკეთდა. როგორც ამბობენ ხოლმე, „მადა ჭამაში მოდის“ და სოფელ ქედლებში მცხოვრებმა მოხუცებმა ამ გზის განათება მოითხოვეს. ჩვენ შევპირდით, რომ დავაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნას და ასეც იქნება“, – მიცემულ პირობას არ ივიწყებს საკრებულოს თავმჯდომარე. მოსახლეობა მუნიციპალიტეტის პირველ პირთან შეხვედრისას ძირითადად სამუშაო ადგილების არარსებობას და განსახლების პრობლემას ასახელებს. დღეისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში 117 ოჯახია ეროზირებული, I-II კატეგორიაში. სტიქიური მოვლენები კვლავ გრძელდება, რამაც შესაძლოა გაზარდოს დაზარალებულთა რიცხვი. როგორც ნოდარ თავართქილაძე ამბობს, მუშავდება სპეციალური პროგრამა ეროზირებულთა პრობლემების გადასაჭრელად. დღეისათვის ხულოს მუნიციპალიტეტიდან სტიქიური უბედურების გამო მიგრირებული მოსახლეობა საქართველოს 48 მუნიციპალიტეტშია ჩასახლებული. სავარაუდოდ ისინიც მათ ბედს გაიზიარებენ ანუ განსახლდებიან. ოჯახს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარება მიეცემა. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნოდარ თავართქილაძე მიიჩნევს, რომ განსახლება საუკეთესო გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან: „საქართველოს 48 მუნიციპალიტეტში (სადაც ეროზირებული მოსახლეობის განსახლება მიმდინარეობს) დღეს უფრო მეტი ხულოელი ცხოვრობს, ვიდრე ხულოს მუნიციპალიტეტში. ეს მისასალმებელია. ბევრი ოჯახი კარგად მოეწყო და დამკვიდრდა, უკვე თავიანთი მეურნეობები აქვთ და ცხოვრების კარგი პირობები“.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსახლეობასთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირს. „საკმაოდ კანონმორჩილი მოსახლეობა გვყავს და შეთანხმებას მეტნაკლებად ვაღწევთ. ჩვენი ხალხი ხელისუფლების მხარდამჭერია და პატარა საქმის გაკეთებაც დიდად მიაჩნიათ. ხალხს თავისებური მიდგომა უნდა. მათ ვერ შეცვლი, უნდა მიყვე,“ – ამბობს ნოდარ თავართქილაძე. სწორედ ხალხის საკეთილდღეოდ ცდილობს იგი ხულოს მუნიციპალიტეტში განავითაროს სათხილამურო სპორტი, ზამთრის კურორტი სოფელ ქედლებსა და გოდერძის უღელტეხილზე: „აშენდება კომპლექსური სათხილამურო ბაზა, რომელიც სრული დატვირთვით იმუშავებს. საინტერესო პროგრამაა და დიდი ინვესტიციაა გათვლილი. ეს ხელს შეუწყობს ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობაც სარგებელს ნახავს. ვაპირებთ ტურისტული მარშრუტების გაკეთებას ხიხანის ციხის მიმართულებითაც“.

გარდა ტურიზმის განვითარებისა, ნოდარ თავართქილაძე ჩვეულებრივი სასოფლო მეურნეობის განვითარებაზეც ფიქრობს და ცდილობს, მოსახლეობას საქმე გაუადვილოს. მოწეული მოსავალი რეალიზაციისთვის ქალაქამდე გლეხმა რომ ჩაიტანოს, ფინანსები სჭირდება. ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აპირებს, რომ ადგილზე გახსნას ბოსტნეულის, ხილისა და რძის გადასამუშავებელი საამქრო, რაც მოსახლეობას დროს და ხარჯებს დაუზოგავს. დაგეგმილი აქვს აგრეთვე სოფლებში სარწყავი არხების, შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების მშენებლობა.

ნოდარ თავართქილაძემ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე 2 დღით ადრე ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ შემუშავებულ „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ საჯაროდ ხელი მოაწერა. ამბობს, რომ დეკლარაციაში შესულ ყველა პუნქტს ითვალისწინებს და „გადახვევას“ არ აპირებს. მიიჩნევს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის სასარგებლოა და ყველა აქტიურ ნოვაციას მხარს უჭერს.

ბატონი ნოდარი ამაყობს: „ქუჩაში კაცი რომ მხვდება, მოსალმება არ ეზარება. მინდა დარჩენილი პერიოდიც ისე გავიარო, რომ ამ გზას არ ავცდე. ვიყო ალალი და პატიოსანი ჩემს თავთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ხალხთან...“

# პროექტი: „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ დასრულდა



ლევან გობაძე



ზურაბ გობაძე



რენა ფერცელიძე



გივი ნიჟარაძე

**„თქვენ დაამტკიცეთ, რომ მიუკერძოებლები ხართ“, „ინტელექტი ხალხის ინტერესების დამცველი ორგანიზაციაა“ – უამრავი მსგავსი ეპითეტი გამოითქვა გასული ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მისამართით. ეს ის ერთი წელია, როცა „ინტელექტი“ ახორციელებდა პროექტს „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“.**

**წარმატებული იყო თუ არა პროექტი და რა როლი შეასრულა მან საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაში? – ამ კითხვას ის ადამიანები პასუხობენ, ვინც რეალურად შეიტანეს თავიანთი მოკრძალებული წვლილი პროექტის განხორციელებაში.**

**ლევან გობაძე, პროექტის: „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ დირექტორი:** ჩემი შეფასებით პროექტი იყო მეტად წარმატებული, პირველ რიგში იმიტომ, რომ შესაძლებელი გახდა ყველა იმ საქმიანობის განხორციელება და ამოცანის შესრულება, რომლებიც პროექტით იყო დაგეგმილი; მეორე რიგში იმიტომ, რომ პროექტის შემუშავებისა და რეალიზაციის პერიოდში გამოყენებულ იქნა არაერთი ინოვაციური იდეა და საბოლოო ჯამში ამ ინოვაციური იდეების პროექტში გამოყენებამ ძალზე დიდი ეფექტი მოგვიტანა; მესამეც იმიტომ, რომ დიდი იყო პროექტის შედეგების გავლენა საზოგადოებაზე.

სამივე კომპონენტი მეტად მნიშვნელოვანი იყო პროექტის საერთო წარმატებისთვის. საგანმანათლებლო კამპანია, რომლის ჩატარებასაც პროექტი ითვალისწინებდა, საკმაო დროსა და ადამიანურ რესურსებს მოითხოვდა. როგორც თქვენთვის ცნობილია, ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 2010 წლის ოქტომბერში. პრეზიდენტის ბრძანებულებით არჩევნები გადმოტანილ იქნა 2010 წლის 30 მაისისთვის, 4 თვით ადრე. მიუხედავად დროის კატასტროფული სიმცირისა, ჩვენ მოვასწარით განმანათლებლების შერჩევა ყველა თემში, მათთვის ტრენინგების ჩატარება, მეთოდური და საინფორმაციო მასალების მომზადება და რაც მთავარია, ყველა მათგანმა შეძლო თავის თემში საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება.

საბოლოო ჯამში ჩვენ მოვიცავით 31367 ადამიანი (პირდაპირი ბენეფიციარი – ერთი წარმომადგენელი ერთი ოჯახიდან), რომლებმაც აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში არსებული ოჯახების 2/3 შეადგინა. ეს არის ძალიან დიდი ციფრი და ჩვენი რეგიონის პრაქტიკაში პირველად იქნა მიღწეული.

რაც შეეხება ინოვაციურ მიდგომებს, ერთ-ერთი ასეთი იდეა მგდომარეობდა იმაში, რომ საგანმანათლებლო პროცესი წარგვემართა არა ჩვენი როგანიზაციის ოფისიდან, არამედ მოგვეხდინა საგანმანათლებლო პროცესების დაყვანა თემის დონეზე. ანუ თემებში აგვერჩია ადგილობრივი განმანათლებლები მოსახლეობის აქტიური, განათლებული და მოტივირებული ნაწილიდან, რომლებიც თავიანთ თემებში წარმართავდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. ასეთმა მიდგომამ საშუალება მოგვცა, დაგვეზოგა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები და დრო, ჩვენი ძალებით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან შედარებით. ასევე მიგველო მეტი ეფექტი, რადგანაც თემის მცხოვრებზე უფრო უკეთესად არავინ იცის, თუ როგორ მიუდგეს თავის მეზობელს, როგორ გადმოსცეს მასალა, რა არის თავისი მეზობლის ინტერესების სფერო და ა.შ.

მეორე ინივაციური იდეა, რომელიც გამოყენებულ იქნა ამ პროექტში, არის საკრებულოს წევრების საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება. მონიტორინგის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ გამოგვევლინა და წაგვეხალისებინა საკრებულოს საუკეთესო წევრები, ანუ ის ადამიანები, რომელთა საქმიანობაც მისაბაძი იქნებოდა საკრებულოს დანარჩენი წევრებისათვის. ასეთი ადამიანები გამოვლენილნი იქნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტებში და მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. მათი საქმიანობის ასეთი წახალისება, ჩვენი აზრით, იქნება მნიშვნელოვანი სტიმული საკრებულოების დანარჩენი წევრებისათვის.

და მესამე, რამაც პროექტის წარმატება განაპირობა, გახლდათ პროექტის გავლენა საზოგადოებაზე. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება არ ხდება თავისთავად. მისი უმთავრესი კომპონენტია სამოქალაქო განათლება. სამოქალქო განათლება არის ისეთი პიროვნების აღზრდისა და სწავლების სისტემა, რომელსაც შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო საზოგადოებაში. სიტყვაში – „ცხოვრება“ მე ვგულისხმობ არა მარტო ადაპტაციის და არსებობის უნარს საზოგადოებაში, არამედ ინდივიდის უნარს, იყოს ამ საზოგადოების შემოქმედი. სწორედ ასეთი საგანმანათლებლო კამპანია იქნა ჩატარებული ჩვენ მიერ მთლიანად აჭარის რეგიონში. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ერთი საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით შესაძლებელია სამოქალაქო ცნობიერების ფორმირება მოსახლეობაში. მაგრამ ასეთი შედეგები მიიღწევა თანდათანობით. მთავარია, საგანმანათლებლო პროცესებს ჰქონდეს უწყვეტი სახე.

**რენა ფერცელიძე, პროექტის იურისტი:** ვფიქრობ, რომ პროექტი ,,ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ წარმატებული იყო სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში, რომელიც არაერთხელ იქნა აღნიშნული იმ ადამიანების მიერ, ვისაც პირდაპირ თუ ირიბად შეეხო ეს პროექტი. იგი ძალიან საინტერესო და შედეგიანი გამოდგა ახალი ურთიერთობების თვალსაზრისით. მე პირადად, ამ პროექტმა მომცა ბევრი ახალი ადამიანი და ახალი იდეები მომავალი პროექტებისთვის.

ყველა აქტივობა იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ მე პირადად ამ პროექტის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიმაჩნია აჭარის 5 მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგები დაბა ბაკურიანში, რამაც საფუძველი ჩაუყარა თვითმმართველობებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პრაქტიკის დანერგვას.

კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ამ პროექტში მონაწილე თითოეულ ადამიანს და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს ჩვენს ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობისათვის, რაც საგრძნობლად გვიადვილებდა პროექტის განხორციელებას.

**ზურაბ გობაძე, თემის მობილიზატორი:** მიმაჩნია, რომ პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“, რომელიც განახორციელა ჩვენმა ორგანიზაციამ, ევროკავშირის მხარდაჭერით, სწორედ რომ დროული და აუცილებელი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ უკვე იცის თვითმმართველობის არსი და მისი მნიშვნელობა, ბევრი მაინც მუნიციპალიტეტებში წამყვან ძალად გამგებელს მოიაზრებს და ფიქრობს, რომ პრობლემას მხოლოდ გამგებელი გადაუჭრის. ხოლო საკრებულოს როლს ამ საქმეში მეორეხარისხოვნად მიიჩნევს.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“აჭარის რეგიონის მასშტაბით დიდი შრომა გასწია თვითმმართველობის არსის პოპულარიზაციის მიზნით. აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის ყველა თემში ტესტირების გზით ავირჩიეთ განმანათლებლები, რომლებიც თავიანთ თემებში მოსახლეობასთან ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით, თვითმმართველობის, როგორც მთავარი წამყვანი ძალის როლსა და ფუნქციებზე. სამუშაო საკმაოდ რთული იყო და ამავე დროს საინტერესო, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ განმანათლებელს ხშირად დაგეგმილ დროზე მეტხანს უწევდა მოსახლეობასთან საუბარი აღნიშნულ თემებზე. ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ფასიანი საჩუქრები იმ პირებისათვის, ვინც თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით გამოავლენდა კარგ ცოდნას. ტესტირების გზით შეირჩნენ გამარჯვებულები, რომლებმაც შემდეგ მონაწილეობა მიიღეს რეგიონალურ კონკურსში, სადაც ასევე ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. ფასიანი საჩუქარი გადაეცა ასევე იმ განმანათლებელს, რომლის წარმომადგენელმაც რეგიონალურ კონკურსში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ აჭარის რეგიონის მასშტაბით პირველმა ჩაატარა კვლევა საუკეთესო საკრებულოს წევრის გამოსავლენად.

მივიჩნევ, რომ პროექტმა „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“დიდი როლი შეასრულა თვითმმართველობის არსის პოპულარიზაციაში. რა თქმა უნდა, ამით არ ვქმნით იმის ილუზიას, რომ ყველაფერი რიგზეა და მეტი სამუშაო აღარაა საჭირო, პირიქით, მიგვაჩნია, რომ ეს პროექტი იყო საწყისი მომავალი უფრო მეტი და ფართომასშტაბიანი სამუშაოების ჩასატარებლად.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველა მუნიციპალიტეტის გამგებელს, საკრებულოს თავმჯდომარეს, თითოეულ წევრს და ყველა იმ მოქალაქეს, რომლებმაც საშუალება მოგვცეს და დაგვეხმარნენ ჩვენი პროექტი წარმატებულად განხორციელებულიყო.

**გივი ნიჟარაძე, თემის მობილიზატორი:** თვით პროექტის – ,,ჩვენი არჩევანი რეალური თვითმმართველობა“ განხორციელება მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის, რომელიც თავის თავში მოიცავს საზოგადოების ჩართულობას და აქტიურობას ადგილობრივი თვითმმართველობის გახორციელებაში.

ის შედეგი, რომელიც აისახა შემდგომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს და რომლითაც კმაყოფილია ადგილობრივი ელექტორატი, ახალი საკრებულოების არჩევის ხარისხით და მნიშვნელობით, ამ პროექტის დამსახურებაცაა, ვინაიდან ჩვენ შევძელით შეგვეხსენებინა საზოგადოებისთვის მათი როლი და დანიშნულება.

პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ითვლება ყველაზე წარმატებულად, რომ ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ პირველებმა შევადგინეთ „კარგი მმართველობის დეკლარაცია,“ რომელზედაც თითოეულმა საკრებულოს წევრობის კანდიდატმა მოაწერა ხელი და საჯაროდ აღიარა ის ვალდებულებები, რისთვისაც სურდა საკრებულოში ყოფნა. ამით კიდევ ერთხელ შევახსენეთ საკრებულოს წევრებს, რომ მათი წარმატება დამოკიდებულია საზოგადოების წარმატებაზე და მათი მხრიდან ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა საზოგადოების ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელი იქნება.

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge